# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 431

„23" სექტემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 3 სექტემბრის №25.1453.1636 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *დანართი N1* | | | | | |
| | **ქალაქი თბილისი, ჰოსპიტალის შესახვევი N7 (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049)** | | | | | |
| **N** | **სახელი გვარი** | **პირადი ნომერი** | **სართული** | **ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)** | **საკადასტრო კოდი** | |
| **1** | თეა ნარმანია | 19001088167 | სართული 4 | 48.08 | 01.17.12.023.049.01.609 | |
| **2** | ნანა გელაშვილი | 01001010391 | სართული 7 | 82.66 | 01.17.12.023.049.01.1004 | |
| **3** | ზურაბ კახოშვილი | 08001007804 | სართული 8 | 22.9 | 01.17.12.023.049.01.605 | |